



სასწავლო საგნის დასახელება	ინგლისური ენა
სწავლების საფეხური/კლასი	საბაზო საფეხური VI კლასი
სახელმძღვანელო	Grammar Book-Round-up 3 Distance learning web resources : <i>K5Learning; Ebooks, en.childrenslibrary.org edutopia.org; learnenglishkids.britishcouncil.org etc.</i>
სასწავლო საგნის ხანგრძლივობა	8 თვე
მეცადინეობის განრიგი	კვირაში 2 საათი
სასწავლო ცენტრში ინგლისური ენის სწავლების მიზანი	ინგლისური ენის პროგრამა ხელს უწყობს ეროვნული მიზნების დოკუმენტში განსაზღვრული მიზნების და პრიორიტეტების მიღწევას. კერძოდ: ა) წიგნიერება, ბ) მედიაწიგნიერება, გ) ციფრული წიგნიერება, დ) რაოდენობრივი წიგნიერება ე) ეკოლოგიური კომპეტენცია, ვ) სწავლის სწავლა
სასწავლო ამოცანები	მოსწავლეს მივცეთ ისეთი განათლება, რომ მან შეძლოს: <ul style="list-style-type: none"> • ინგლისურ ენაზე მეტყველება; • წარმატებული კომუნიკაცია ინგლისური კულტურის წარმომადგენლებთან; • განსხვავებული კულტურული კონტექსტებისა და ტექსტების გაგება; • ინგლისური ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობის დაფასება და პატივისცემა; • თანამოღვაწეობა ინგლისური ენობრივ-კულტურული იდენტობის მეორე მოქალაქეებთან; • ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავება და გამდიდრება ენობრივი თუ კულტურული თვალსაზრისით; სხვა უცხოური ენების დამოუკიდებლად შესწავლა.
სასწავლო კურსის ზოგადი აღწერა	1. მოსწავლე ისმენს და იგებს უცხოენოვან თანამოსაუბრეთა შორის მიმდინარე ინტერაქციას (დიალოგი, ინტერვიუ), მონოლოგს ცხოვრებისეულ თემებზე. 2. მოსწავლე ისმენს და იგებს ინსტრუქციებს, შეტყობინებას, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გაკეთებულ განცხადებებს. 3. მოსწავლე ისმენს და იგებს ვიდეო ბლოგებს (საინფორმაციო ბიულეტენი, ტურისტული რეპორტაჟი, ინტერვიუ) ნაცნობ თემატიკაზე. 4. მოსწავლე კითხულობს და იგებს სხვადასხვა თემაზე შექმნილ



	<p>შემეცნებით ტექსტს (ისტორიული, კულტურული, არქეოლოგიური, გეოგრაფიული და სხვა) 5, იგებს ბიოგრაფიული ხასიათის ტექსტებს (ბიოგრაფია, ავტობიოგრაფია, მოგონება, დღიური, როგორც ავტობიოგრაფიული ტექსტი)</p> <p>6, მოსწავლე კითხულობს და იგებს ადაპტირებულ მოთხრობას (ან ნაწყვეტს მოთხრობიდან).</p> <p>7. მოსწავლე აანალიზებს ტექსტს სტრუქტურული მახასიათებლების მიხედვით, ამოიცნობს ენობრივ-გრამატიკულ ფორმებსა და მათ ფუნქციას შინაარსიან კონტექსტში.</p> <p>8. მოსწავლე ხმამაღლა კითხულობს ტექსტს/ნაწყვეტს.</p> <p>9. მოსწავლე წერს სხვადასხვა ტიპის ტექსტებს, სადაც დეტალურად აღწერს საკუთარ გამოცდილებას (პირადი წერილი, ესე).</p> <p>ა)წერს წერილს უცხოელ თანატოლს (ხელნაწერ ან ელექტრონულ ვერსიას). ბ)წერს პირად წერილებს ახლობელს (ხელნაწერ ან ელექტრონულ ვერსიას). გ)წერს ესეს, წერილს სასკოლო ან ახალგაზრდული (ნაბეჭდი თუ ელექტრონული) ჟურნალისთვის, სადაც გადმოსცემს საკუთარ შთაბეჭდილებებს (მაგალითად, მოგზაურობის შთაბეჭდილებები, გამოხმაურება ნანახ სპექტაკლზე/ჩატარებულ ღონისძიებაზე და სხვა)</p> <p>10. წერისას მოსწავლე იცავს ტექსტის სტრუქტურას, იძენს და ცდილობს ფუნქციურად გამოიყენოს საბაზისო ენობრივ- გრამატიკული უნარ-ჩვევები.</p> <p>11. მოსწავლე მონაწილეობს ინტერაქციაში.</p> <p>12 მოსწავლე ლაპარაკობს გაბმულად მისთვის ნაცნობ თემებზე.</p> <p>13. . წარმოადგენს ზეპირ მოხსენებას მისთვის საინტერესო თემაზე.</p> <p>14. მოსწავლე იძენს და ფუნქციურად იყენებს საბაზისო ენობრივ-გრამატიკულ უნარ-ჩვევებს.</p> <p>15. მოსწავლე იცნობს სამიზნე ქვეყნის/ქვეყნების სოციოკულტურულ რეალიებს.</p> <p>16. . მოსწავლე იჩენს ინტერესს და ავლენს ტოლერანტულ დამოკიდებულებას კულტურული თავისებურებების მიმართ.</p> <p>17. მოსწავლე უცხოურ ენაზე განახორციელებს სხვადასხვა ტიპის პროექტს.</p>
<p>საგნის ათვისების აუცილებელი წინაპირობა</p>	<p>მოსწავლეთა არსებული ცოდნა და გამოცდილება, რომელიც აუცილებელია ახალი ცოდნის დასაუფლებლად.</p>